ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4463250

ნომერი: AR1669293

თარიღი : 11.04.2019

გაცემის თარიღი : 17.04.2019

გაცნობის თარიღი : 19.04.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, იოანე პეტრიწის ქუჩა, N 16ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თორნიკე თავართქილაძე პ/ნ 01024067152
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ვლადიმერ გაბაშვილის ქუჩა, N 5, ბინა 38

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2146951
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 19.08.2015

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 21 მარტის №142 დადგენილებით შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში და ამოღებულ იქნა დადგენილების 62-ე მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებდა მშენებლობადამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე (აღნიშნული დოკუმენტი არც გაქვთ წარმოდგენილი) დაღვევით განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობისა და დასაშვებობის დადასტურებას.
აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი AR1669293 (11/04/2019) განაცხადი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.